საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე - კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. გ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ც. ჯ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.11.2020

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №093/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/

ადვოკატის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 2 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოქალაქე ნ. გ.-მა, ადვოკატ ლ. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და აღნიშნული მიზეზით უკვე ორი წელია გაშორებულია მეუღლესთან, ხოლო ამ ორი წლის განმავლობაში მის ყოფილ მეუღლეს არ აღმოუჩენია არანაირი დახმარება მისთვის და მათი ორი არასრულწლოვანი შვილისთვის. შესაბამისად, საჩივრის ავტორს სურდა მისი ყოფილი მეუღლისათვის ალიმენტის დაკისრება და ამ მიზნით, სჭირდებოდა ადვოკატის კონსულტაცია, ხოლო შემდეგ წარმომადგენლობა.

1.3 საჩივრის ავტორმა კონსულტაციისთვის მიმართა იურიდიულ კომპანია - „მ.“-ს, რის შემდეგაც მას ფეისბუქის მეშვეობით დაუკავშირდა ადვოკატი ლ. ჯ., ვისთანაც მან განიხილა საქმის გარემოებები დეტალურად, ამავე სოციალური ქსელით. სოციალურ ქსელში, მოპასუხე ადვოკატი მომჩივანს გაეცნო პროფილით, რომელსაც ერქვა „ადვოკატი ლ. ჯ.“. ნ. გ.-მა მიაწოდა ადვოკატ ლ. ჯ.-ს ყველა ინფორმაცია, რომელიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი იყო ალიმენტის საქმის წარმოებისთვის.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ლ. ჯ.-თან კომუნიკაციისას, ადვოკატის მხრიდან არაერთხელ იქნა მისთვის გამოგზავნილი ისეთი შინაარსის მესიჯები და სხვა კონტენტი (ვიდეო, ფოტო, სხვადასხვა სახის ლინკი), რომელიც არანაირ კავშირში არ იყო მის მიერ გასაწევ იურიდიულ მომსახურებასთან.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი მოსაზრებით, ადვოკატი ლ. ჯ. ამ კონტენტს მას უგზავნიდა გარკვეულწილად შთაბეჭდილების მოსახდენად, რადგანაც მის მიერ არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ მოპასუხე ადვოკატს მოსწონდა ის, როგორც ქალი.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი აპლიკაცია „მესენჯერის“ მეშვეობით უგზავნიდა მასსა და სხვა კლიენტებს შორის პროფესიული ურთიერთობის ფარგლებში არსებული ურთიერთობის დეტალებს, მათ შორის, ირიბად უყვებოდა რა სახის საქმეებზე მუშაობდა, უგზავნიდა საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელ სქრინებს ინტერნეტ ბანკიდან, სადაც ასევე, არ იყო დაფარული გადმომრიცხავის პერსონალური ინფორმაცია.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ლ. ჯ. არ სცემს პატივს მის კოლეგებს. მაგალითისთვის, როდესაც საჩივრის ავტორმა მას გაანდო, რომ კონსულტაცია ჰქონდა გავლილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში (საია), ლ. ჯ.-მა მათ უწოდა „გოიმები“ და არაკომპეტენტურები, ხაზი გაუსვა, რომ ისინი აზრზე არ არიან და განუცხადა ნ. გ.-ს, რომ თვითონ იყო ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი, ამის ხაზგასასმელად კი ცდილობდა მოეხდინა იმის დემონსტრირება, თუ რამდენად ბევრს უხდიან მას მომსახურებაში და რა სახის საქმეებზე მუშაობს, რითაც, სავარაუდოდ არაერთხელ დაარღვია მასსა და სხვა კლიენტებს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის ვალდებულება.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ლ. ჯ. მასთან კომუნიკაციისას ახდენდა მასსა და მაღალი თანამდებობის პირებს შორის არსებულ ურთიერთობებზე აპელირებას, რითაც დამატებით ცდილობდა გარკვეული შთაბეჭდილების შექმნას, ხაზს უსვამდა რომ კენჭს იყრის დეპუტატად, რომ თბილისის მერი და სხვა თანამდებობის პირები მისი ახლო მეგობრები არიან და საჩივრის

ავტორის აღქმით, ამით აგრეთვე ცდილობდა მასზე გარკვეული ზემოქმედების, ზეწოლის მოხდენას, ლ. ჯ. ხაზს უსვამდა, რომ საჩივრის ავტორი მოსწონდა, როგორც ქალი, მისი რიტორიკა გამცდარი იყო კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობისთვის დამახასიათებელ დიალოგს; ასევე, ადვოკატის მხრიდან ხდებოდა ხაზგასმა იმისა, რომ „ცუდ ქმარს კარგი საყვარელი სჯობს“, რომ მას 10 ოჯახის შენახვა შეეძლო და ა.შ.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა მოახდინა თავისი ქონებისა და შესაძლებლობების დემონსტრირება, ხოლო ნ. გ.-მა მისი ეს ქმედება გააკრიტიკა, ადვოკატი გაბრაზდა და მას სოფლელი გოიმი უწოდა. ასევე, ადვოკატმა საჩივრის ავტორს, მიაყენა სხვადასხვა სახის შეურაცხყოფა, ცდილობდა სიტყვა „განათხოვარი“ წარმოეჩინა უარყოფით კონტექსტში „განათხოვარი ხარ და თავს იფასებ“, უთხრა, რომ „არ აქვს მამაკაცთან კომუნიკაციის გამოცდილება და უნარი“, მოიხსენია „უვიცად“ და მოუწოდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით „აუდე ახლა აქედან, სანამ კარგ ხასიათზე ვარ“.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ერთ-ერთი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, მასსა და ადვოკატ ლ. ჯ.-ს შორის, შემთხვევით მოხდა გარკვეული სახის კომუნიკაცია. კერძოდ, მ. ჭ.-ს ფონდის მიერ გამართულ ერთ-ერთ აქციაზე, ადვოკატმა სცადა საჩივრის ავტორთან კომუნიკაცია, გაიგო მისი მისამართი, ტელეფონი და მიაკითხა საცხოვრებელ სახლთან.

1.11 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა მის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ლ. ჯ.-ის განმარტებით, ის საჩივრის ავტორს არ იცნობს, წარმოდგენა არ აქვს ვინ არის და მისთვის არასდროს გაუწევია იურიდიული კონსულტაცია. ადვოკატის განმარტებით საჩივრის ავტორის მითითება, რომ თავდაპირველად იურიდულ კომპანია „მ-ს“ დაუკავშირდა ვებ.გვერდის საშუალებით და იქიდან ადვოკატი ლ. ჯ. დაეკონტაქტა, სიცრუეა, რადგან იგი არ არის „მ“-ს ადვოკატი.

2.2 ადვოკატმა აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ სქრინებში თარიღები და ვადები გაურკვეველია. მიმოწერაში ჩანს თუ როგორ ურჩევს სხვა ადვოკატის აყვანას, რაც მისი აზრით, ადასტურებს, რომ იგი არ ყოფილა ნ. გ.-ის ადვოკატი და კონსულტაციაც არ გაუწევია. ამასთან, არ არსებობს მინდობილობა ან რაიმე სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება მისი მხრიდან იურიდიული დახმარების გაწევა.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი პირადი ცხოვრების დეტალები, მათ შორის ინტიმური, მისი პირადი საქმეა, დაცული სივრცეა და ამ საკითხის შეფასება ეთიკის კომისიის კომპეტენცია არ არის.

2.4 2022 წლის 07 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ნ. გ.-ს არ იცნობს და მასთან მიმოწერა არ ჰქონია. ადვოკატი განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მიმოწერა მას არ ეკუთვნის.

2.5 განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დააკონკრეტა, რომ მხარის მიერ ფაქტების კონსტატაციით სახით წარმოდგენილი მიმოწერა არ არის მის მიერ შესრულებული.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ადვოკატის სტატუსის პირადი მიზნებისათვის გამოყენებით, კლიენტთან ინტიმური შინაარსის მიმოწერებით და საკუთარი ინტერესის კლიენტის ინტერესზე მაღლა დაყენებით შესაძლოა დაარღვია კეთილსინდისიერების, კლიენტის უფლებების პატივისცემისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), 3(თ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პრეამბულა, მუხლი 5; 8.5).

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ კონფდენციალობის ვალდებულების დარღვევის თაობაზე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მომჩივან ნ. გ.-ს სოციალური ქსელის „Facebook Messenger"-ის მეშვეობით, პირად შეტყობინებებში ანგარიშის (account) n. g. მეშვეობით ჰქონდა კომუნიკაცია პიროვნებასთან (account) - „ადვოკატი ლ. ჯ."-თან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

აღსრულების ეროვნული ბიუროს ოქმი ფაქტების კონსტატაციის შესახებ

4.2 სადავო ფაქტები:

საქმეში სადავოა, ნ. გ.-ის მიერ, ფაქტების კონსტატაციის სახით წარმოდგენილი მიმოწერა ეკუთვნის თუ არა ადვოკატ ლ. ჯ.-ს.

ადვოკატი განმარტავს, რომ ის ნ. გ.-ს არ იცნობს და მასთან მიმოწერა არ ჰქონია, ასევე, საქმეში ფაქტების კონსტატაციის სახით წარმოდგენილი მიმოწერა მას არ ეკუთვნის.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“.

ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

კოლეგია განმარტავს, რომ სადავო მიმოწერის ადვოკატ ლ. ჯ.-ისადმი კუთვნილების ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელსაც არ წარმოუდგენია ავთენტური მტკიცებულება, თუ ვის ეკუთვნის სადავო „Facebook” გვერდი, რაც დაადასტურებდა, რომ ფაქტების კონსტატაციის სახით წარმოდგენილი მიმოწერა ეკუთვნის ადვოკატ ლ. ჯ.-ს.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატმა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 8.5).

საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3(თ)).

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად... ინტერესებზე მაღლა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის (ეთიკის კოდექსი, პრეამბულა).

6.2 განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, გამოიკვლია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ მომჩივან ნ. გ.-ს სოციალური ქსელის „Facebook Messenger"-ის მეშვეობით, პირად შეტყობინებებში ანგარიშის (account) n. g. მეშვეობით ჰქონდა კომუნიკაცია პიროვნებასთან (account) - „ადვოკატი ლ. ჯ."-თან. ამავე დროს, კოლეგიას მიაჩნია, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ფაქტების კონსტატაციის სახით წარმოდგენილი მიმოწერა ეკუთვნის ადვოკატ ლ. ჯ.-ს.

6.3 აქედან გამომდინარე, კოლეგიას არ ეძლევა შესაძლებლობა შეაფასოს მომჩივანი მხარის მეირ წარმოდგენილი მიმოწერის შინაარსი და კონკრეტული ფაქტები: მხარეთა შორის არსებობდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა თუ არსებობდა პირადი ურთიერთობა.

6.4 განხილვის კოლეგიამ შეაფასა მხარეთა მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები, წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ ეთიკური გადაცდომის ჩადენა არ დასტურდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 16, 17, 33, 35 მუხლებით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №093/20 ადვოკატ ლ. ჯ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/

V დისციპლინური კოლეგიის წევრის - ნათია ჩიტაშვილის განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე (საქმე №093/20)

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

„მე იურისტი ვარ, მტკიცებითი საბუთების მოყვარული“ [1]

უპირველეს ყოვლისა, გამოვხატავ ღრმა პროფესიულ პატივისცემას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება **საქმეზე №093/20 ადვოკატ ლ. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე**. ამავდროულად, პროფესიული რწმენიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

განსხვავებული აზრი უმთავრესად მიემართება კოლეგიის გადაწყვეტილებაში **მტკიცების ტვირთის განაწილების** კრიტიკულ, შედეგისთვის გადამწყვეტ ანალიზს, რამაც განაპირობა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღება და არსებითად შეცვალა საქმის შედეგი.

მტკიცების ტვირთი ერთ-ერთი ფუნდამენტური ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალში. დამტკიცების ტვირთი არის მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებისათვის მხარეებზე განაწილებული საპროცესოსამართლებრივი საქმიანობა, რათა მათ შეძლონ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა.[2]

მტკიცებულების მოპოვება და წარდგენა თავისთავად გულისხმობს პროცესში მონაწილე მხარეთა შორის უფლებამოსილება-ვალდებულების, მტკიცების ტვირთის გადანაწილებას, თუ დავის ინდივიდუალიზაციიდან და **დასამტკიცებელ გარემოებათა თავისებურებიდან** გამომდინარე, რომელ მხარეს მეტად შეიძლება **სამართლიანად და გონივრულად** ეკისრებოდეს მტკიცების ტვირთი.

,,მტკიცების ტვირთი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებაზე უთითებს მხარე და ამყარებს მოთხოვნას თუ შესაგებელს. ამდენად, მტკიცების ტვირთი იმ მატერიალურსამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომელსაც მხარე მისი მოთხოვნის იურიდიულ საფუძვლად ირჩევს. **„სამოქალაქო სამ-სა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული**

[1] ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იხ.: ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამ“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 249.

[2] ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამ“, (I ნაწილი), სამ, თბ., 2014, 284.

<u>სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მხარეებს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია“</u>.[3]

„მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას საძიებელი ფაქტის დასადგენად კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისათვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. ასე მაგალითად, დაამტკიცოს ხელშეკრულებით რაიმე ურთიერთობის წარმოშობის ფაქტი (ვთქვათ, სესხის მიცემის ფაქტი) გაცილებით უფრო ადვილია მოსარჩელისათვის (გამსესხებლისათვის), ვიდრე მოპასუხისათვის. მაგრამ, იმის დამტკიცება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა (ვთქვათ, დაუბრუნა სესხი). უფრო ადვილია თვით მოპასუხისათვის, ვიდრე მოსარჩელისათვის“[4] მსგავსად, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია,[5] რაც გულისხმობს იმას, რომ ვალდებულების დარღვევისას მოვალემ უნდა დაამტკიცოს მისი არაბრაულეულობა[6] სწორედ იმ გონივრულობიდან გამომდინარე, რომ მას მეტად შესწევს უნარი (ვიდრე კრედიტორს) დაასაბუთოს, მოიპოვოს მტკიცებულებები, თუ რა ობიექტურმა, მის კონტროლს მიღმა არსებულმა დაუძლეველმა გარემოებებმა შეუშალა ხელი ვალდებულება შეესრულებინა.

სამოქალაქო პროცესში სადავო ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო მოსარჩელის მიერ დამტკიცებული გარემოებები უნდა გააბათილოს მოპასუხემ. წარსადგენი მტკიცებულებები და მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი ყოველი საქმის ფაქტობრივი თავისებურებისა და მტკიცების საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

,,გადაწყვეტილებაზე ასევე აისახება მტკიცების ტვირთის შებრუნების შედეგები, გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც იმ მხარის განმარტება, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი გაქარწყლებულია, სახეზეა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოებები სარწმუნო მტკიცებულებებით“.[7]

შესაბამისად, ჩნდება არსებითი კითხვა, როდესაც საკითხი ეხება სოციალური ქსელით განხორციელებული მიმოწერის ავთენტურობას, კონკრეტული პირისადმი კუთვნილებას, რომელ მხარეს მეტად შესწევს უნარი დაამტკიცოს ან გამორიცხოს ავთენტურობა, იმ მხარეს რომელსაც კონტროლი არ აქვს სხვის FB ანგარიშზე, თუ იმ მხარეს, ვისი განკარგულების სფეროშიც არის FB

---

[3]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმეზე N2/370-16, გვ. 4-5, (გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში), http://library.court.ge/judgements/14582018-01-05.pdf. იხ. ასევე, სუსგ, საქმეზე #ას-1003-964-2016, 25 იანვარი, 2017 წელი; სუსგ, #ას-1294-1214-2015, 27 ივნისი, 2016 წელი. იხ. მტკიცების ტვირთი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, 2018, გვ. 80 და შემდგომნი.

[4] ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამ, თბ., 2005, 231.

[5] ჩიტაშვილი ნ. წიგნში: ჭანტურია ლ., ზარანდია თ., ცერცვაძე გ., ზოიძე თ., საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ, 2017, 211-226.

[6] თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი“, GIZ, 2012, 291.

[7] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, (დისერტაცია), თსუ, 2012, 19, http://press.tsu.ge/data/image db innova/Disertaciebi/ilona gagua.pdf.

ანგარიში და ვისი ვალდებულებაც არის ანგარიშის გარკვეულწილად დაცულობის უზრუნველყოფა, ან გატეხვის შემთხვევაში შემდგომი მიმოწერის აღკვეთა, ანგარიშის დაბლოკვა და აღნიშნულზე სოციალური ქსელის მომხმარებლების ინფორმირება? ვის მეტად და ობიექტურად შესწევს უნარი დაამტკიცოს FB ანგარიშით გაზიარებული მონაცემები მეორე მხარეს (მოპასუხეს) ეკუთვნის, თუ იმას ვისაც შეუძლია გამორიცხვოს FB ანგარიშიდან გაზიარებული მონაცემების მის პერსონალურ მონაცემებთან იდენტობა და სხვა?

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მაინც ახორციელებს მტკიცების ტვირთს გარკვეული ფარგლებით, კერძოდ წარადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 25 დეკემბრის ფაქტების კონსტატაციის ოქმს (F---).

ფაქტების კონსტატაციის ოქმში (იხ. გვ. 6, წითლად მონიშნული ველი, ასევე გვ. 12, გვ. 35 და სხვა) ლ. ჯ.-ს მისი პირადი FB ანგარიშის (account L. J.) პროფილზე მითითებული აქვს მისი პოზიცია და კავშირი სადავო ანგარიშთან: ,,დირექტორი at: ადვოკატი ლ. ჯ./advokati L. J.“. აღნიშნული მიუთითებს ფაქტზე რომ ადვოკატისთვის ცნობილია ანგარიში ,,ადვოკატი ლ. ჯ.ი/advokati L. J.“ და არათუ ცნობილია, დაფიქსირებულია აღნიშნულ ანგარიშზე დირექტორად. ამით გამოიკვეთება, რომ პირადი ანგარიში პირდაპირ დაკავშირებულია დირექტორის სტატუსით სადავო ანგარიშთან. ამასთან, პროფესიული სტატუსის შემცველ ანგარიშზე გამოქვეყნებულია პოსტები, რომელიც მოპასუხეს უკავშირდება.

ადვოკატი გამოხატავს პოზიციას, რომ მიმოწერა მას არ ეკუთვნის, თუმცა ზემოაღნიშნული მონაცემებით დასტურდება, რომ სადავო ანგარიში, საიდანაც მიმოწერა განხორციელდა, მისია იმდენად რამდენადაც პირადი ანგარიშის პროფილზე პირი თავად უთითებს პროფესიული სტატუსის შემცველ ანგარიშს. მოსარჩელე, რომელიც მიმოწერას ახორციელებს ადვოკატის სტატუსის მქონე ანგარიშის მფლობელთან ,,ადვოკატი ლ. ჯ./advokati L. J.“, ე.ი. პირთან რომელსაც ჰქონდა იმავე სახელი და გვარით პირადი ანგარიშები და პირადი ანგარიშიდან მითითება ჰქონდა გაკეთებული პროფესიულ ანგარიშზე: ,,დირექტორი at: ადვოკატი ლ. ჯ./advokati L. J.“, ეჭვ ქვეშ ვერ დააყენებდა მიმოწერის ავტორის იდენტობას. შესაბამისად, მოქმედებდა ადვოკატის სტატუსით შექმნილი ანგარიშის მიმართ და თავად ადვოკატის სტატუსის ვალიდურობის მიმართ ნდობით. შესაბამისად, მოსარჩელის პერსპექტივიდან საჯარო ანგარიშის პროფილის კუთვნილება ლ. ჯ.-ისადმი ეჭვს არ იწვევს, რაც ასევე მტკიცდება ფაქტების კონსტატაციის ოქმით. ამდენად უკვე დასამტკიცებელია, რომ მიმოწერა განახორციელა სხვა პირმა ლ. ჯ.-ის ანგარიშიდან.

საყურადღებოა, რომ მიმოწერა ხორციელდება 3 დღის განმავლობაში, განგრძობითად, დღის სხვადასხვა ეპიზოდებში, რაც ბადებს შეკითხვას, თუ ადვოკატის პროფესიული FB ანგარიშიდან მიმოწერა სხვა პირმა გააკეთა (როგორც ამას მოპასუხე უთითებს), როგორ ვერ გახდა ცნობილი მოპასუხისთვის სხვის მიერ მისი ანგარიშით სარგებლობის და ქალბატონთან მიმოწერის ფაქტი. თუ გახდა ეს ცნობილი, რა ზომებს მიმართა ადვოკატმა გამოაქვეყნა თუ არა მისი პროფესიული სტატუსის FB ანგარიშის გვერდზე, რომ ანგარიში გატეხელია ან/და სხვა პირი აწარმოებს მიმოწერას, მიწერა თუ არა სხვა მეგობრებს აღიშნული ფაქტის თაობაზე, რომელთათვისაც შეიძლებოდა ასევე მიეწერა ანგარიშის გამტეხს და ა.შ. ამასთან, საყურადღებოა, რომ ადვოკატი უთითებდა მიმოწერის ფალსიფიკაციის ოქმზე, თუმცა ის მტკიცებულების სახით საქმეში არ წარმოუდგენია.

სსსკ-ის 136-ე მუხლით ,,მოსამართლე უფლებამოსილი ხდება იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.[8] თუ მიმოწერის ფალსიფიკაციის ოქმში მოპასუხე მოსარჩელესთან წარმოებული წაშლილი მიმოწერის აღდგენილ კორესპონდენციას (წაშლილი წერილები) გულისხმობს, რომელიც მან წარმოადგინა, ეს ფაქტიც საყურადღებოა მიმოწერის ლ. ჯ.-ისადმი კუთვნილების თვალსაზრისით. კერძოდ, მოპასუხე მისივე FB გვერდზე არ ხდის აღნიშნულს სადავოდ და სახალხო დამცველს უცხადებს, რომ წარდგენილი სამდღიანი მიმოწერა არ არის სექსუალური შევიწროება: ,,... ესაა სრული მიმოწერა 3 დღიანი, ამას თქვენ სექსუალურ შევიწროებად თვლით და ეს არასერიოზულია. ფაქტის კონსტატაცია მოგაწოდეს და ყვითლად რაც არის ეგ წაშალეს. მე კი სამხარაულის ექსპერტიზა მაქვს, ეს სექსუალური შევიწროება არაა“ (ფაქტების კონსტატაციის ოქმი, გვ.46, იხ. ასევე, გვ. 50).

გარდა ამისა, მოპასუხე უთითებს, რომ მისი პირადი ცხოვრების დეტალები, მათ შორის ინტიმური, მისი პირადი საქმეა, დაცული სივრცეა და ამ საკითხის შეფასება ეთიკის კომისიის კომპეტენცია არ არის. ამ მოსაზრებაშიც არგუმენტი ისაა, რომ პირადი მიმოწერა დაცული სფეროა და არა ის, რომ მიმოწერა მას არ ეკუთვნის. ამ შემთხვევაშიც ადვოკატის არგუმენტები და მტკიცების საგანი წინააღმდეგობრივია.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი აპლიკაცია „მესენჯერის“ მეშვეობით უგზავნიდა მასსა და სხვა კლიენტებს შორის პროფესიული ურთიერთობის ფარგლებში არსებული ურთიერთობის დეტალებს, მათ შორის, ირიბად უყვებოდა რა სახის საქმეებზე მუშაობდა, უგზავნიდა საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელ სქრინებს ინტერნეტ ბანკიდან, სადაც ასევე, არ იყო დაფარული გადმომრიცხავის პერსონალური ინფორმაცია. მოცემულ ნაწილში მოპასუხეს შეეძლო გაებათილებინა მოსარჩელის არგუმენტაცია იმით, თუ დაადასტურებდა, რომ საბანკო ანგარიში, რაზეც ჩარიცხულ იქნა ჰონორარი, მას არ ეკუთვნის, გადმომრიცხავი პირი მისი კლიენტი არ ყოფილა და ა.შ. აღნიშნული მტკიცებულებების გაქარწყლების შესაძლებლობა უმეტესწილად აქვს ადვოკატს, რომელსაც ხელი მიუწვდება მის პირად ანგარიშზე, კლიენტურის წრეზე და ამდენად, თავად არის უმეტესწილად უნარიანი დაასაბუთოს, რომ საბანკო ანგარიშების მისადმი კუთვნილების გამორიცხვა მისი მტკიცებითი კონტროლის, გავლენის სფეროა. აღნიშნული კი მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არგუმენტია. ამასთან, როდესაც ხდება სახლის საოჯახო ტექნიკის სურათების გაზიარება და ა.შ. ამ ნაწილშიც მოპასუხეს შესწევს მეტი შესაძლებლობა დაამტკიცოს, რომ გაგზავნილი ფოტოები მის საოჯახო სივრცეს არ შეესაბამება და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატა, განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირებას და განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებაზე. მოსარჩელემ და

[8] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, (დისერტაცია), თსუ, 2012, 87, http://press.tsu.ge/data/image db innova/Disertaciebi/ilona gagua.pdf.

მოპასუხემ უნდა ამტკიცონ მათ მიერ მითითებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები.[9] მოპასუხე მის ფაქტობრივ გარემოებად უთითებს იმას, რომ მიმოწერა მას არ ეკუთვნის, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არის წარმოდგენილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატა განმარტავს, რომ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცების ტვირთს შორის არსებობს ურთიერთმფარავი კავშირი. მტკიცების ტვირთის განსასაზღვრად აუცილებელია ამ ურთიერთმფარავი კავშირის გამიჯვნა. მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, უნდა განისაზღვროს მტკიცების საგანი ე.ი. უნდა განისაზღვროს სამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ზიდვა გამომდინარეობს მტკიცების საგნიდან. ასევე, უმნიშვნელოვანესია მტკიცების ტვირთის განაწილება, რომლიდანაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს დავის გადაწყვეტის შედეგი. ფაქტების მითითება და მტკიცების ტვირთი, სხვადასხვა პროცესუალურსამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებაა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებას. [10] ის მითითება, რომ მიმოწერა მოპასუხეს არ ეკუთვნის მტკიცების საგანია, სამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებაა და არა მტკიცების ტვირთის მოპასუხის მიერ განხორციელება.

აღნიშნულის საპირწონედ, მოსარჩელემ კი წარადგინა ფაქტების კონსტატაციის ოქმი, ხოლო მოპასუხეს არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომელიც 2020 წლის 25 დეკემბრის ფაქტების კონსტატაციის ოქმში (F) მითითებულ მტკიცებულებებს გააქარწყლებდა.[11] შესაბამისად, თუ მხარემ ეფექტიანად ზიდა მტკიცების ტვირთი, მტკიცების ტვირთი შებრუნდება და მტკიცება მოუწევს მოწინააღმდეგე მხარეს. [12]

მოცემულ შემთხვევაში მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ ფაქტების კონსტატაციის ოქმით დაძლეულია მტკიცების სტანდარტი იმ ფარგლებით, რაც შეიძლებოდა გონივრულად და სამართლიანად დაკისრებოდა მოსარჩელეს სხვისი FB ანგარიშის ავთენტურობის დადგენის სირთულის გათვალისწინებით. ამასთან, ფაქტების კონსტატაციის ოქმი სრულად შეიცავს ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91[17] მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო რეკვიზიტებს, ამიტომ რთულია გაზიარებულ იქნეს საქმეზე გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიის წევრების მოსაზრება რომ ფაქტების კონსტატაციის ოქმი ვერ იქნება მოსარჩელის მიერ მტკიცების ტვირთის ეფექტიანი განხორციელების გამოხატულება. ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარი და მყარი მტკიცებულება, რომელიც ეჭვ ქვეშ დააყენებდა ფაქტების კონსტატაციის შესახებ ოქმით დადგენილი ფაქტების უტყუარობას.

---

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

[10]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016

[11] შეად. მტკიცების ტვირთის საკითხზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2022 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე #სსდ-01-22.

[12] ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., (GIZ), N7(2018), 26; იხ.[23.03.2019]

ამიტომ მოპასუხის პოზიცია, რომ მიმოწერა მას არ ეკუთვნის ვერ ჩაითვლება დასაბუთებად, რომელიც უნარიანი იქნებოდა ეჭვ ქვეშ დააყენებინა მიმოწერის ავთენტურობა.

ამასთან, ,,განმცხადებელმა სახალხო დამცველის აპარატში სრულად წარმოადგინა ლ. ჯ. - თან სხვადასხვა თარიღში განხორციელებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია და მოპასუხის მიერ გაკეთებული ფეისბუქ პოსტისა და მეგობრობის თხოვნების გაგზავნის ამსახველი ე.წ სქრინშოთები.“[13] კოლეგიის სხდომაზე მოსარჩელის ადვოკატი ასევე დამატებით უთითებდა სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მითითებულ მტკიცებულებებზე, რომელიც შემავსებელი იყო ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა.

მიმოწერის ავთენტურობა მოცემულ შემთხვევაში მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა შეფასდეს. კერძოდ, მოპასუხის განმარტებით, მან მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს განმცხადებლის მხრიდან მოპასუხის სახელით ყალბი ინტერნეტ პროფილების შექმნა-გამოყენების ფაქტზე. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება არ დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოძიების არ დაწყების მოცემულობა, ფაქტი შეიძლება ასევე ჩაითვალოს მტკიცებულებად იმისა, რომ არ არსებობს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვ ქვეშ დაყენების და მიმოწერის ავთენტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. ამდენად, დადასტურებულად რჩება მხარეთა შორის 2020 წლის 25-26 ივლისსა და 12 ოქტომბერს შემდგარი კომუნიკაციის სანდოობა, რომელიც დადასტურებულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის 25 დეკემბრის F ოქმით ფაქტების კონსტატაციის შესახებ.[14]

მტკიცებულებათა ერთობლიობით, ურთიერთკავშირში ანალიზის გათვალისწინებით, სადავოდ აღარ უნდა ჩაითვალოს ნ. გ.-ის მიერ, ფაქტების კონსტატაციის სახით წარმოდგენილი მიმოწერა ეკუთვნის თუ არა ადვოკატ ლ. ჯ.-ს.

სამართლებრივი შედეგი პირდაპირაა დამოკიდებული მხარის მიერ მტკიცების ტვირთის განხორციელებაზე. შესაბამისად, მხარე, რაც უფრო მყარ და სანდო მტკიცებულებებს წარუგენს სასამართლოს, მით უფრო მეტად გაამყარებს საკუთარ პოზიციებს, რაც აისახება საბოლოო შედეგზე.[15]

,,მტკიცების ტვირთის არასათანადო რეალიზება წარმოადგენს პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი და არასასურველი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. ამ თვალსაზრისით, ... დავის საპროცესო შედეგი

---

[13] სახალხო დამცველის რეკომენდაცია ლ. ჯ. - ს სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ, გვ. 1, შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის მე-*201* მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-*9* მუხლის მე-*3* პუნქტის შესაბამისად, იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2021020311331174244.pdf?fbclid=IwAR03xLTPO5x9UR0xStx ycq2 qrEQ8Vf-xx7cPHheWPk2tjirNlblRA0zw.

[14] მნიშვნელოვანია, რომ მიმოწერის ავთენტურობის საკითხი ეჭვ ქვეშ არ დაუყენებია არც სახალხო დამცველს მისი რეკომენდაციით. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ლ. ჯ. - ს სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ, გვ. 15, შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“საქართველოს ორგანული კანონის მე-*201* მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“საქართველოს კანონის მე-*9*მუხლის მე-*3*პუნქტის შესაბამისად, იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2021020311331174244.pdf?fbclid=IwAR03xLTPO5x9UR0xStx ycq2 qrEQ8Vf-xx7cPHheWPk2tjirNlblRA0zw

[15] ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., (GIZ), N7(2018), 22, იხ.http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf

მთლიანადაა დამოკიდებული პროცესის მონაწილე სუბიექტების მტკიცებით საქმიანობასთან. სწორედ ამიტომ, მტკიცების ტვირთი წარმოგვიდგება, როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების იმგვარად დადგენა, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში"[16]

ვინაიდან, გადაწყვეტილების მიმღებ კოლეგიას მტკიცების ტვირთის განაწილების მისეული არგუმენტაციიდან გამომდინარე არ უმსჯელია მოპასუხე ადვოკატმა ადვოკატის სტატუსის პირადი მიზნებისათვის გამოყენებით, კლიენტთან ინტიმური შინაარსის მიმოწერებით და საკუთარი ინტერესის კლიენტის ინტერესზე მაღლა დაყენებით **დაარღვია თუ არა** კეთილსინდისიერების, კლიენტის უფლებების პატივისცემისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ), 3(თ); ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პრეამბულა, მუხლი 5; 8.5), ამდენად, განსხვავებული აზრის ფორმატში შეუძლებელია აღნიშნულ საკითხებზე შეფასებითი მსჯელობაც. თუმცა, კოლეგიის მიერ მტკიცების ტვირთის წინამდებარე განსხვავებულ აზრში წარმოდგენილი გადანაწილება და მიმოწერის ავთენტურობის ანალიზი არსებით გავლენას მოახდენდა მისაღები გადაწყვეტილების შედეგზე, რაც **დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის ნაცვლად, მოპასუხის დისციპლინირების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.**

/ნათია ჩიტაშვილი/

ეთიკის კომისიის წევრი

[16] გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, (დისერტაცია), თსუ, 2012, 12, http://press.tsu.ge/data/image db innova/Disertaciebi/ilona gagua.pdf.